

ფინანსური ანგარიშგება და კომპილაციის ანგარიში

შპს დრესარიუმი

31 დეკემბერი 2024



სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება	Error! Bookmark not defined.
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	7

შპს გრანტ თორნტონ

ს/ნ: 200136600

იურიდიული მისამართი:

საქართველო, თბილისი,

ისნის რაიონი,

ქეთევან წამებულის გამზირი, № 54

ტ.: +995 322 604 406

Grant Thornton LLC

I/N: 200136600

Legal address:

Georgia, Tbilisi, Isani district,

Ketevan Tsamebuli avenue, № 54

T.: +995 322 604 406

ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციაზე

შპს „დრესარიუმი“-ს დამფუძნებელს

ჩვენ შევადგინეთ შპს „დრესარიუმი“-ს („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგება თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას. ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვას და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

კომპილაციური გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის (დმსს) 4410-ის (გადასინჯული) – „კომპილაციური გარიგებები“ – შესაბამისად.

ჩვენ გამოვიყენეთ ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სფეროს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, რათა დაგხმარებოდით თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაში, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს). ჩვენ დავიცავით შესაფერისი ეთიკური ნორმები, მათ შორის პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების პრინციპები.

ამ ფინანსურ ანგარიშგებასა და მისი კომპილაციისთვის გამოყენებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე თქვენ ხართ პასუხისმგებელი.

ვინაიდან კომპილაციური გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ გვევალება თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის მიზნებისთვის თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორისა და სისრულის შემოწმება. შესაბამისად, არ წარმოვადგენთ აუდიტორულ მოსაზრებას, არც მიმოხილვის დასკვნას იმის შესახებ, მომზადებულია თუ არა ეს ფინანსური ანგარიშგება, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

პაატა შურღაია

მმართველი პარტნიორი

1 ოქტომბერი, 2025

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი(გადაა ნგარიშებული)	2022 წლის 31 დეკემბერი(გადაა ნგარიშებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	967,529	1,061,853	515,895
არამატერიალური აქტივები		19,451	26,027	7,927
გრძელვადიანი აქტივები		986,980	1,087,880	523,822
მიმდინარე აქტივები				
მარაგები		2,806,632	2,511,378	1,334,014
გაცემული ავანსები		53,539	48,151	286,707
მოთხოვნა თანამშრომლის მიმართ		45	1,169	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	255,411	26,982	15,646
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	88,078	166,478	84,612
მიმდინარე აქტივები		3,203,705	2,754,158	1,720,979
სულ აქტივები		4,190,685	3,842,038	2,244,801
კაპიტალი და ვალდებულებები				
საწესდებო კაპიტალი		154,338	86,839	-
გაუნაწილებელი მოგება		1,440,574	964,486	818,605
კაპიტალი		1,594,912	1,051,325	818,605
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული გრძელვადიანი სესხები	8	774,130	1,170,943	819,812
გრძელვადიანი ვალდებულებები		774,130	1,170,943	819,812
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	1,593,572	1,496,867	334,332
მიღებული მოკლევადიანი სესხები	8	84,204	-	165,642
ვალდებულებები ბიუჯეტის მიმართ		109,340	120,664	55,050
მიღებული ავანსები		1,826	-	-
გადასახდელი ხელფასები		17,562	-	-
გადასახდელი პროცენტი		15,139	2,239	51,360
მიმდინარე ვალდებულებები		1,821,643	1,619,770	606,384
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,190,685	3,842,038	2,244,801

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 1 ოქტომბერს:

ლაშა მიგინეიშვილი



დირექტორი

DRESSARIUM
405248511
შპს რეზიდაცია, ქ.თბილისი, საპანორამო რაიონი
DRESSARIUM LLC, LISI PANORAMA 6, TBILISI, GEORGIA

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (8-19 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

ლარი	პენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	9	7,753,968	6,534,444
რეალიზებული პროდუქციის	10	(3,749,530)	(3,146,145)
თვითღირებულება			
საერთო მოგება		4,004,437	3,388,299
გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები		(1,578,004)	(1,140,281)
ადმინისტრაციული ხარჯები	11	(1,615,115)	(1,448,002)
ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი		(290,359)	(256,584)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(168,099)	(240,597)
საოპერაციო მოგება		352,860	302,834
ფინანსური ხარჯი		(101,960)	(70,451)
სხვა არასაოპერაციო		257,217	33,446
შემოსავალი/ხარჯი			
მოგება/(ზარალი) საკურსო		(32,030)	(119,947)
სხვაობიდან			
მოგება/(ზარალი) მოგების		476,088	145,881
გადასახადამდე			
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება/(ზარალი)		476,088	145,881
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		476,088	145,881

ლაშა მიგინიშვილი

დირექტორი

DRESSARIUM

405248511
შპს რეზანდორი, ლისი პანორამა 6, თბილისი საქართველო
DRESSARIUM LLC, LISI PANORAMA 6, TBILISI, GEORGIA

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული პენიშვნებთან (8-19 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	-	818,605	818,605
საწესდებო კაპიტალის ზრდა	527,132		527,132
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(440,293)		(440,293)
წლის მოგება/(ზარალი)	-	145,881	145,881
გადახდილი დივიდენდი	-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი	-	145,881	145,881
2023 წლის 31 დეკემბერი	86,839	964,486	1,051,325
საწესდებო კაპიტალის ზრდა	614,366	-	614,366
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(546,867)		(546,867)
წლის მოგება/(ზარალი)	-	476,088	476,088
გადახდილი დივიდენდი	-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი	-	476,088	476,088
2024 წლის 31 დეკემბერი	154,338	1,440,574	1,594,912

ლამა მიგინეიშვილი
დირექტორი



კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (8-19 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს დრესარიუმი (კომპანია) დაარსდა საქართველოში, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 2018 წელს.

შპს დრესარიუმის რეგისტრირებული მისამართია - საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ზემო ვეძის №6, ბინა 4.

მისი ძირითადი საქმიანობის სახეს წარმოადგენს საცალო ვაჭრობა ტანსაცმლითა და აქსესუარებით სპეციალიზებულ მაღაზიებში. ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის კოდია 47710

კომპანიის პარტნიორები და მათი შესაბამისი წილები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

პარტნიორი

31 დეკემბერი 2024

31 დეკემბერი 2023

%

%

ლაშა მიგინეიშვილი, 01010007215

33.34%

33.34%

სალომე დიღია, 01026011477

33.33%

33.33%

შეზღუდული პასუხისმგებლობის

33.33%

33.33%

საზოგადოება შპს საინვესტიციო

მომსახურების ჯგუფი, 405117948

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად, რომელიც მიღებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ ("ბასს"). ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია საქმიანობს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის მეთოდსა და ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

2.4 შეფასების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებსა და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობები გამოყენებული, ან სადაც მენეჯმენტის მიერ

გამოყენებული დამკვეთები და საადრიცხო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია მე-13 შენიშვნაში.

3 მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8068 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 2.9306 ლარს (2023 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.6894 ლარი და ერთი ევრო 2.9753 ლარი).

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით. საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო გადასახადებს, სხვა არადაბრუნებად გადასახადებსა და შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. როცა ძირითადი საშუალება შედგება რამოდენიმე არსებითი კომპონენტისაგან, რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მაშინ ასეთი კომპონენტები აღირიცხებიან ცალ-ცალკე ძირითად საშუალებებად.

აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას მიღებული ანაზღაურების ღირებულებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცალკე ერთეულად აღრიცხული ძირითადი საშუალების კომპონენტის ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულების შესაბამისად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის აქტივის რემონტის დანახარჯები, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი გაწვევისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. აქტივების სასიცოცხლო პერიოდები ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირია:

შენობები	10 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
ავეჯი და ინვენტარი	5 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5 წელი

3.3 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას და ფრანშიზას, რომელიც ასახულია დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ამორტიზაცია შესწორდება პერსპექტიულად.

3.4 აქტივის გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეფასება, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება უდიდესი თანხით აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება. ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რომლის დროსაც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა.

3.5 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები (მარაგები) ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება ფიფო შეწონილი მეთოდით.

3.6 წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდა აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა ეხება აქტივს, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში, როდესაც მიიღება საქონლის ან მომსახურების მიღება, რომელიც დაკავშირებულია წინასწარ გადახდასთან. თუ არსებობს მითითება, რომ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, წინასწარი გადახდის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარებულია წლის მოგება-ზარალში.

3.7 ფული და ფულის ექვივალენტები

ნაღდი და საბანკო ნაშთები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებს.

3.8 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს დამფუძნებელთა შენატანებს კომპანიის კაპიტალში. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის დამფუძნებლის მიერ. კომპანიის კაპიტალში ცვლილებები უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის აქციონერის გადაწყვეტილების საფუძველზე.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების დაგროვილ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღიარებულია როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოცხადებულია.

3.9 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

დივიდენდის გაცემასთან დაკავშირებული მოგების გადასახადი აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მოხდა მისი გამოცხადება. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85.

2017 წელს და შემდგომში გადახდილი ნებისმიერი დივიდენდის გადასახადის გადახდისათვის, 2016 წლამდე დაგროვილი მოგებიდან, საგადასახადო კრედიტი ხელმისაწვდომია კორპორაციული სამემოსავლო გადასახადისთვის, რომელიც გადახდილია წინა მოდელის მიხედვით გადანაწილებულ მოგებაზე. კორპორატიული შემოსავლების დაბეგრის ამჟამინდელი კონცეფციის თანახმად, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს და მათ საგადასახადო ბაზებს შორის დროებითი განსხვავებები არ არსებობს. ამრიგად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 სამემოსავლო გადასახადი, არ ფორმირდება 2017 წლის 1 იანვრის შემდგომ.

3.10 დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) გადასახდელია საგადასახადო ორგანოსთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდებისთანავე მომხმარებლებისთვის, რომელიც უნდა გადაიხადონ არაუგვიანეს ოპერაციის თარიღის მომდევნო თვის თხუთმეტი რიცხვისა. ჩასათვლელი დღგ ზოგადად ჩასათვლელია გადასახდელი დღგ-ის საპირწონედ დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას.

გაყიდვებთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღიარებული და გამჟღავნებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გადასახდელსა და ჩასათვლელ დღგ-ს შორის სხვაობის საფუძველზე. იმ

შემთხვევაში, თუ შექმნილია მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის მთლიანი თანხისთვის, დღგ-ის ჩათვლით.

3.11 თანამშრომელთა სარგებელი

მოკლევადიანი თანამშრომლის სარგებელი არის სარგებელი, რომელიც მოსალოდნელია სრულად დაფარული წლიური საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან თორმეტ თვემდე, რომელშიც თანამშრომლები გაწევენ შესაბამის მომსახურებას და მოიცავს:

- ჯილდოებს, ხელფასებსა და ბონუსებს
- ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი;

როდესაც თანამშრომლები მომსახურებას უწევენ კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, კომპანია აღიარებს თანამშრომლების მოკლევადიანი სარგებლის არაპროგნოზირებულ თანხას, რომელიც მოსალოდნელია გადაიხადოს ამ მომსახურების სანაცვლოდ:

- როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი), უკვე გადახდილი თანხის გამოქვითვის შემდეგ. თუ უკვე გადახდილია თანხა გადააჭარბებს სარგებლის არა დისკონტირებულ რაოდენობას, კომპანიამ უნდა აღიაროს ეს ჭარბი აქტივი (წინასწარ გადახდილი ხარჯი) იმდენად, რამდენადაც წინასწარი გადახდა გამოიწვევს მომავალი გადახდების შემცირებას ან ფულად ანაზღაურებას.
- ხარჯის სახით, თუ თანხა არ შედის აქტივის ღირებულებაში.

3.12 შემოსავალი

შემოსავალი მოიცავს მიღებული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას ან მისაღებ საქონელს.

შპს „დრესარიუმის“ შემოსავლები დაკავშირებულია ტანსაცმლითა და აქსესუარებით ვაჭრობასთან სპეციალიზებულ მაღაზიებში.

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კომპანიის ამონაგები შედგება მის მიერ გაყიდული საქონლისგან მიღებული შემოსავლიდან.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, როდესაც იზრდება აქტივის ზრდასთან ან ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება ყველანაირი გაცემული სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის თანხა. ამონაგებში არ გაითვალისწინება მესამე მხარის სახელით / სასარგებლოდ მიღებული თანხები, როგორიცაა, მაგალითად სახელმწიფოს სახელით ამოღებული დამატებითი ღირებულების გადასახადი. სააგენტო ურთიერთობებში, როდესაც კომპანია რწმუნებულის როლში გამოდის, ამონაგებში ჩაირთვება მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებული თანხები.

3.13 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხორციელდება და დებიტორულ დავალიანებას არ ერიცხება პროცენტი. ხოლო, როდესაც კრედიტი სცდება ნორმალურ საკრედიტო პირობებს, დებიტორული დავალიანება ფასდება ამორტიზებული ღირებულების ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება იმის დასაზუსტებლად არის თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ თანხები არ არის ანაზღაურებული. თუ ასეა, დაუყოვნებლივ ხდება მიღებული ზარალის მოგება/ზარალში ასახვა.

3.14 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველად აღიარდება ხდება სავაჭრო ფასით და შემდეგომში ფასდება ამორტიზირებული ღირებულების ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ისინი ნორმალური საპროცენტო პირობებით გამოიყენებიან და პროცენტი არ ერიცხებათ.

3.15 იჯარა

იჯარა, რომელშიც მესაკუთრის მიერ დაცულია საკუთრების ყველა რისკი და სარგებელი, კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარით განხორციელებული გადახდები გადადის მოგება/ზარალში დარიცხვის მეთოდით.

ქონების და აღჭურვილობის იჯარა, სადაც დამქირავებელს გააჩნია საკუთრების ყველა რისკი და სარგებელი, კლასიფიცირდება როგორც ფინანსური იჯარა. ფინანსური იჯარა კაპიტალიზდება იჯარის დაწყებისთანავე, იჯარით გაცემული ქონების სამართლიანი ღირებულებისა და იჯარის მინიმალური გადახდების დღევანდელი ღირებულებით.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

კომპანიას იჯარით აქვს აღებული ფართი შპს „გალერია თბილისი“ - სგან, შპს „სიბიდი დეველოპმენტი“ - სგან, შპს „ზუგდიდი მოლი“ - სგან და შპს აი ჯი დეველოპმენტ ჯორჯია“-სგან სადაც ახორციელებს საქმიანობას.

4 ძირითადი საშუალებები

ლარი	შენიშვნები	დაუმთავრებელი მშენებლობა	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კუთილმოწყობა	არამატერიალური აქტივები	Total
ხარჯი							
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	27,618	-	71,434	459,741	349,563	14,934	923,289
შემოსვლა	180,109	9,106	31,756	313,265	269,183	21,628	825,048
გასვლა	-	-	-	(4,105)	(324)	-	(4,429)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	207,727	9,106	103,190	768,900	618,422	36,562	1,743,908
შემოსვლა	82,631	43,176	10,185	124,515	1,000	-	261,507
გასვლა	-	(52,283)	-	(339)	(30,000)	-	(82,622)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	290,358	-	113,375	893,077	589,422	36,562	1,922,793
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება							
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	197	-	31,950	207,093	153,222	7,007	399,468
წლიური ცვეთა	2,760	-	18,362	128,214	103,721	3,528	256,584
გამოკლებული გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	(25)	-	-	(25)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,956	-	50,312	335,282	256,942	10,535	656,028
წლიური ცვეთა	16,136	-	17,800	144,917	104,930	6,576	290,359
გამოკლებული გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	(146)	(10,427)	-	(10,573)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	19,092	-	68,112	480,052	351,445	17,111	935,813
საბალანსო თანხა							
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	204,771	-	52,878	433,619	361,480	26,027	1,087,880
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	271,265	-	45,263	413,024	237,977	19,451	986,980

5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი		2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	ფიზიკური პირები	276	18,783
	იურიდიული პირები	255,135	8,199
		255,411	26,982

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიიჩნევა სამართლიანი ღირებულების გონივრულ მიახლოებად.

6 ფული საბანკო ანგარიშზე

საბანკო ნაშთები დენომინირებულია ლარში.

		2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		88,078	166,478
		88,078	166,478

ლარი		2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ლარი		66,912	154,874
დოლარი		1,444	178
ევრო		19,721	11,427
		88,078	166,478

7 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი		2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	რეზიდენტი კომპანიები	1,156,898	1,056,042
	არარეზიდენტი კომპანიები	436,674	440,825
		1,593,572	1,496,867

8 მიღებული სესხები

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მოკლევადინია სესხები		
იურიდიული პირისგან		
USD	84,204	-
	84,204	-
გრძელვადიანი სესხები		
საკრედიტო ორგანიზაციისგან		
GEL	149,965	150,000
USD	108,923	140,319
EUR	394,549	764,980
ფიზიკური პირისგან		
GEL	-	-
USD	120,692	115,644
	774,130	1,170,943

კომპანიისთვის სესხის აღების მიზანს წარმოადგენდა საბრუნავი საშუალებების შეძენა და ბიზნესის გაფართოება. აღნიშნულ სესხებს ყოველთვიურად ერიცხებათ სესხის პროცენტი, რომელიც აღებულია საბაზრო განაკვეთით.

9 შემოსავალი

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი
LION OF PORCHES-GALLERIA	1,042,668
MAYORAL-GALLERIA	811,091
PEPE JEANS-GALLERIA	1,077,296
MAYORAL-EAST POINT	235,370
ONLINE	208,762
ORIGINAL MARINES-GALLERIA	673,635
LASCANA-GALLERIA	222,148
HACKETT-GALLERIA	485,585
DRESSARIUM KIDS-ZUGDIDI	195,516
DRESSARIUM-ZUGDIDI	158,491
MARCO POLO - GALLERIA	978,642
DRESSARIUM KIDS-CITY MALL	627,301
DRESSARIUM OUTLET	23,040
DRESSARIUM CORNER - CITY MALL	754,966
WHOLESALE	259,455
	7,753,968

10 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ლარი

2024 წლის 31
დეკემბერი

გაყიდული შეძენილი საქონელი

LION OF PORCHES-GALLERIA	444,569
MAYORAL-GALLERIA	358,233
PEPE JEANS-GALLERIA	523,792
MAYORAL-EAST POINT	115,882
ONLINE	164,710
ORIGINAL MARINES-GALLERIA	326,828
LASCANA-GALLERIA	149,175
HACKETT-GALLERIA	196,378
DRESSARIUM KIDS-ZUGDIDI	125,981
DRESSARIUM-ZUGDIDI	96,545
MARCO POLO - GALLERIA	423,895
DRESSARIUM KIDS-CITY MALL	316,444
DRESSARIUM OUTLET	25,781
DRESSARIUM CORNER - CITY MALL	289,769
WHOLESALE	191,550
	3,749,530

11 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი

2024 წლის 31
დეკემბერი

2023 წლის 31
დეკემბერი

შრომის ანაზღაურება	1,383,707	1,227,199
კომუნალური ხარჯები	96,189	85,504
საკონსულტაციო ხარჯები	57,910	45,957
სოციალური დანარიცხები	28,280	25,437
ტრანსპორტირებისა და მიწოდების ხარჯები	17,400	7,517
სამივლინებო ხარჯები	14,796	41,174
კომუნიკაციის ხარჯები	7,881	7,991
რემონტის ხარჯი	6,199	3,662
დაზღვევის ხარჯი	1,514	1,867
კომპიუტერის ხარჯები	1,240	1,694
	1,615,115	1,448,002

12 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და მსჯელობები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადები

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

12.1 ვარაუდი ფუნქციონირებასთან დაკავშირებით

ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას მენეჯმენტი აფასებს კომპანიის შესაძლებლობას გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის საფუძველზე, ვინაიდან მენეჯმენტს არ აქვს არც განზრახვა და არც საჭიროება კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის შეწყვეტის შესახებ.

13 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეს წარმოადგენს შპს „მორენა-პრო“ და შპს „ავვ რითეილი“, რომლის დამფუძნებელიც, ისევე როგორც შპს „დრესარიუმის“, არის სალომე დიდიძა. შპს „მორენა - პროსა“ და შპს „დრესარიუმს“ შორის გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულება, კერძოდ სატრანსპორტო მომსახურება, რაც გულისხმობს შპს „მორენა-პრო“-ს მიერ შპს „დრესარიუმის“ პროდუქციის გადაზიდვას, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე. ასევე კომპანია ავვ რითეილი შპს „დრესარიუმში“ - სგან ქირაობს საოფისე ფართს და შედის სავაჭრო ურთიერთობაში მარაგების და ძირითადი საშუალებების ქრილში. აღნიშნული მომსახურების და ძირითადი საშუალებების ღირებულება განისაზღვრება საბაზრო ფასით.

წლის განმავლობაში შპს „დრესარიუმმა“ შპს „მორენა-პრო“-საგან შეიძინა 204,272 ლარის ღირებულების სატრანსპორტო მომსახურება. წლის ბოლოსთვის შპს „მორენა-პრო“-სთვის გადასახდელი თანხა შპს „დრესარიუმის“ მიერ შეადგენს 12,896 ლარს.

ხოლო შპს „ავვ რითეილს“ მიაწოდა 317,125 ლარის ღირებულების სავაჭრო პროდუქცია და შეიძინა 42,995 ლარის მარაგები.

14 წინა წლების ფინანსური ანგარიშგებების გადაანგარიშება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოავლინა შეცდომები. 2022 და 2023 წლების ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას კონკრეტული ხარჯი აღიარებული იყო არასწორი პერიოდის მიხედვით, რის გამოც დარღვეული იყო ხარჯების დარიცხვის პრინციპი. ამასთანავე, ბალანსის მუხლებში მოხდა გარკვეული კორექტირებები. დამფუძნებლისგან მიღებული თანხები კლასიფიცირებული იყო როგორც მიღებული სესხი, რადგანაც აღნიშნული გატარება არ წარმოადგენდა სწორ ოპერაციად მოხდა მისი გადატანა კაპიტალის მუხლში. მიმდინარე წლის ანგარიშგების მომზადებისას გამოვლენილი შეცდომა სრულად გასწორდა, რამაც გამოიწვია ფინანსური მაჩვენებლების ცვლილება. შემდეგ ცხრილებში შეჯამებულია კორექტირებები, რომლებიც გაკეთდა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და 2024 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი (წარდგენილი)	კორექტირება	2023 წლის 31 დეკემბერი (გაანგარიშება)
დაგროვილი მოგება / (ზარალი)	987,049	(22,562)	964,486
საწესდებო კაპიტალი	-	86,839	86,839
მთლიანი კაპიტალის ეფექტი		64,277	
მარაგები	2,512,575	(1,197)	2,511,378
გაცემული ავანსები	11,880	36,271	48,151
მოთხოვნა თანამშრომლის მიმართ	-	1,169	1,169
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	64,422	(37,440)	26,982
მთლიანი აქტივების ეფექტი		(1,197)	
მიღებული გრძელვადიანი სესხები	1,173,390	(2,447)	1,170,943
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,476,507	20,360	1,496,867
მიღებული მოკლევადიანი სესხები	26,894	(26,894)	-
ვალდებულებები ბიუჯეტის მიმართ	137,024	(16,359)	120,664
გადასახდელი პროცენტი	42,373	(40,134)	2,239
მთლიანი ვალდებულებების ეფექტი		(65,474)	

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი (წარდგენილი)	კორექტირება	2023 წლის 31 დეკემბერი (გაანგარიშება)
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	6,543,453	(9,009)	6,534,444
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(3,153,958)	7,812	(3,146,145)
გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები	(124,191)	(1,016,091)	(1,140,281)
ადმინისტრაციული ხარჯები	(2,464,291)	1,016,289	(1,448,002)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(234,112)	(6,486)	(240,597)
ფინანსური ხარჯი	(90,470)	20,019	(70,451)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	33,442	4	33,446
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	(112,844)	(7,103)	(119,947)
ეფექტი პერიოდის შედეგზე		5,436	

15 შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები არის როგორც ხელსაყრელი, ისე არახელსაყრელი მოვლენები, რომლებიც მოხდა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და იმ თარიღამდე, როდესაც ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა.

დასაქმებულთა რაოდენობის ზრდამ განაპირობა ხელფასისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდა, თანამშრომელთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, ასევე საგრძნობლად გაიზარდა ძირითადი საშუალებების შესყიდვებიც. ასევე ქვეყნის მასშტაბით დაემატა რამოდენიმე ობიექტი.

16 ფინანსური რისკის ფაქტორები

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკს ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა ფასთან დაკავშირებული რისკებს, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია განახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი. საკურსო სხვაობები ძირითადად წარმოიშობა კომპანიის სესხებიდან და იჯარასთან, რომლებიც დენომინირებულია აშშ დოლარში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მისი საქმიანობის შედეგებზე.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია არ ექვემდებარება მატერიალურ საპროცენტო განაკვეთის რისკს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასეხო ვალდებულება.